ლიდერი მასწავლებლის მერი დიასამიძის

ანგარიში

2021-2022 სასწავლო წელს პირველ სემესტრში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდასაჭერად განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

კათედრის წევრებმა სიტუაციურ ლიდერად ამირჩიეს. განვმარტავ, რომ სიღრმისეულად არ ვიცნობდი ახალ მიმართულებებს, მაგრამ რაკი ნდობა გამომიცხადეს საქმეს შევუდექი მათი მხარდაჭერის იმედით. სხვა ლიდერებთან ერთად დავამუშავეთ კონსოლიდირებული ე.ს.გ. მოვიძიეთ ყველა გზამკვლევი ჟურნალი ,, სკოლის მართვაში“ გამოქვეყნებული სტატიები. თავდაპირველად ტერმინები შევისწავლეთ. ვიმსჯელეთ: „რატომ საფეხურებრივი გეგმა“. გრძელვადიანი მიზნები განვიხილეთ საფეხურების მიხედვით. გავაცანი პროფესიული განვიტარებისთვის ჩემეული გამოცდილება. ხარისხის მართვის პროგრამის შემუშავებაში მივიღე მონაწილეობა და შევძელი რამდენადმე დავხმარებოდი კოლეგებს თემატური მატრიცისა და კომპლექსური დავალების შექმნაში.

პირველი შედეგი ერთმანეთს გავუზიარეთ, შევცვალეთ, დავამატეთ, გავაუმჯობესეთ. ისინი ჩემგან სწავლობდნენ, მე მათგან და მივაღწიეთ პირველ შედეგებს. ეს შედეგია: კათედრის ყველა წევრმა შეიმუშავა თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალება.

მშობლებთან გამოკითხვაც ჩავატარე, რომლის მიზანი იყო გამერკვია, ხომ არ იყო კომპლექსური დავალების შესრულება მოსწავლისათვის გადამტვირთველი. VI და VII კლასის მშობლებმა აღნიშნეს,რომ ბავშვები არ რთავენ მშობლებს დავალების შესრულების პროცესში.ეს დავალება მე მომცეს შესასრულებლად, თქვენ არაო. სახლში რომ მოდის ამოწმებს იმ დავალებას , რაც გახანგრძლივებულის ჯგუფში გააკეთა და ზოგჯერ ცვლის კიდეც. შეიძლება ითქვას მოცივაცია სასწავლო პროცესიდან მოჰყვება სახლში.

გამოკითხვის შედეგებით განვავითარეთ შესასრულებელი დავალების წახალისების ფორმები, რათა შევინარჩუნოთ მოტივაცია სხვა დავალებების შესასრულებლად.

მეორე სემესტრში ამ მიმართულებით ვიმუშავებთ კოლეგებთან ერთად. დავგეგმეთ ,, პროექტული სწავლების“ განვითარება. ამ კუთხით ჩვენს არსებულ არსებულ წინარე გამოცდილებას გაოვიყენებთ მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად საფეხურების მიხედვით, კერძოდ: ხანგრძლივ მეხსიერებაში ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზების მიზნით.

მაპატიეთ, ანგარიშში ვერ ავსახე ის ყოველდღიური საქმიანობა, ჩვენება, მსჯელობა, ძიება, წინააღმდეგობის წამოჭრა და მისი დაძლევისათვის სხვადასხვა ვარიანტის განხილვა, ახალი მიგნების სიხარული და სხვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ რამდენი ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი რესურსი ყოფილა ჩვენში. ძალიან დაახლოვდა დირექციისა და მასწავლებლის საქმიანობა.